სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 5

1. კორპორატიული ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 9
5. შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან და მასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები 10
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 10
7. ამორტიზაცია 10
8. ხარჯი ფინანსური ოპერაციებიდან 10
9. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან 10
10. ძირითადი საშუალებები 11
11. გადახდილი ავანსები 11
12. არამატერიალური აქტივები 11
13. საწესდებო კაპიტალი 11
14. გრძელვადიანი სესხები 11
15. მოკლევადიანი კრედიტი 11
16. ფული და ფულის ექვივალენტები 11
17. საგადასახადო აქტივი 11

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2018 (არააუდიტირებული)
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	0
წარმოებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	0
საერთო მოგება	**0**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(35,903,618)
ამორტიზაცია	(4,015,034)
საოპერაციო მოგება/ზარალი	**(39,918,652)**
შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	34,143
ხარჯი ფინანსური ოპრაციებიდან	(460,239)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(157,692)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	186,674
მოგება გადასახადების გადახდამდე	**(40,315,766)**
მოგების გადასახადი	-
წლის სრული მოგება	**(40,315,766)**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 29 სექტემბერს:

მიხეილ ბეგიაშვილი
ფინანსური დირექტორი

5-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018 (არააუდიტირებული)	1 იანვარი 2018 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	88,310,279	34,248,693
გადახდილი ავანსები	11	28,648,033	36,938,783
არამატერიალური აქტივები	12	28,011,478	31,016,635
სულ გრძელვადიანი აქტივები		144,969,790	102,204,111
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		167,866	
საგადასახადო აქტივი	17	3,069,843	1,291,452
ფული და ფულის ექვივალენტები	16	3,221,936	37,777,491
სულ მიმდინარე აქტივები		6,459,645	39,068,943
სულ აქტივები		151,429,435	141,273,054
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	160,596,000	155,532,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(57,817,229)	(16,588,022)
გადაფასების რეზერვი		297,041	0
სულ კაპიტალი		103,075,812	138,943,978
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები გრძელვადიან აქტივებზე		20,357,917	2,329,076
გრძელვადიანი სესხები	14	10,641,693	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		30,999,610	2,329,076
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი კრედიტი	15	9,903,420	
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ		7,450,592	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		17,354,012	0
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		151,429,435	141,273,054

5-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2018	155,532,000	0	(16,588,022)	138,943,978
მიმდინარე წლის სრული მოგება	5,064,000	297,042	(57,817,229)	-52,456,187
ბალანსი 31 დეკ. 2018	160,596,000			103,075,813

5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ წაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

„აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“ წარმოადგენს სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 20015 წლის ივნისში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404496121.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს კარბონის კომპოზიტისგან სამოქალაქო თვითმფრინავების სტრუქტურული ნაწილების წარმოება და ექსპორტი. კომპანიამ პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია დაიწყო 2019 წელს, ხოლო აღნიშნულ პერიოდამდე მიმდიანრეობდა ქარხნის მშენებლობის, აღჭურვის, თანამშორმელთა შერჩევის, ტრენინგების და ქარხნის სერტიფიცირების პროცესი. საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 68 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მიხეილ გრიგორაშვილის ქ., N27.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები იყვნენ:

- სს „საპარტნიორო ფონდი“ (საქართველო) – 33.33333%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელბიტ სისტემს - ციკლონი“ (ისრაელი) - 33.33333%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პროექი“ (საქართველო) – 33.33333%

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა". სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის, რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესადარის ინფორმაციის გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის შესაბამისად.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2018

წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას.

ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. აშშ დოლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რაც განპირობებულია კომპანიის სამომავლო საქმიანობის სპეციფიკიდან. კერძოდ:

- კომპანიის საქმიანობის ძირითადი საქმიანობა არის საექსპორტო წარმოება (ანგარიშსწორება ხორციელდება აშშ დოლარში);
- ნედლეულის ძირითად მომწოდებლებთან ანგარიშზწორებაც ასევე აშშ დოლარში ხდება
- კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია აშშ დოლარში;
- კომპანიის მიერ მოზიდული გრძელვადიანი საკრედიტო რესურსებიც მოზიდულია აშშ დოლარში;

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები წინამდებარე ანგარიშგების მიზნებისათვის მოცემულია საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინაღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპანიის მიერ შეძენილ Know How-ს ლიცენზიას და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ინვესტიცია. ინვესტიციები შეფასებულია თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები აღიარდება როგორც შემოსავალი.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით. საანგარიშო პერიოდში კომპანიამ მოახდინა ძირითად საშუალებებში ინვესტირებული თანხიდან მიღებული დღგ-ს აქტივის ნაწილის დაბრუნება.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული პროდუქციისათვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან და მასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

2018 წლის განმავლობაში კომპანიას პროდუქციის რეალიზაცია არ განუხერციელებია, ვინაიდან იმყოფებოდა სერტიფიცირების ეტაპზე. შესაბამისად არც ფიქსირდება რეალიზებული პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ხარჯები.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

აღნიშნუშული პუნქტი მოიცავს როგორც მიმდინარე ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე იმ ძირითადი ხარჯების გამოქვითვასაც რომელთა კაპიტალიზაციაც არ მომხდარა ქარხნის მშენებლობის პროცესში. მაგალითად თანამშრომელთა ტრენინგები, მეთოდოლოგიის და პროცედურების დოკუმენტაციის მომზადება და ა.შ.

7. ამორტიზაცია

მოიცავს Know-How-ს ამორტიზაციას წრფივი მეთოდით.

8. ხარჯი ფინანსური ოპერაციებიდან

მოიცავს საკრედიტო ვალდებულებეზე დარიცხულ სარგებელს და საკრედიტო ვალდებულებების მიღებისათვის გაწეულ ხარჯებს (ბანკის საკომისიოებს).

9. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

გამომდინარე იქიდან, ერომ კომპანიის ფინანსური რესურსი წლის დასაწყისში ჰქონდა აშშ დოლარში, ხოლო ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა კომპანიას დადებითი სალდო აქვს აღნიშნულ მუხლში.

10. ძირითადი საშუალებები

კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებები საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

	მიწა	ავტომობილები და საოფისე ტექნიკა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წ. 31 დეკემბერი	1,298,469	39,554	32,910,667	34,248,691
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერი	1,340,746.41	976,113.19	85,993,419.37	88,310,279

11. გადახდილი ავანსები

მოიცავს ძირითადი კონტრატორისთვის რომელმაც უზრუნველყო ქარხნის პროექტირება, აღჭურვა მანქანა-დანადგარებით და სერტიფიცირება ავანსად გადახდილ თანხებს.

12. არამატერიალური აქტივები

მოიცავს Know-How-ს ღირებულებას რომლის გადახდაც მოხდა ძირითადი კონტრაქტორისთვის.

13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 60,000,000 აშშ დოლარიც, რომლის შევსებაც განხორციელდა პროპორციულად სამივე აქციონერის მიერ ანგარიშზე თანხის ჩრიცხვის გზით.

14. გრძელვადიანი სესხები

მოიცავს სს „საპარტნიორო ფონდის მიერ გაცემულ გრძელვადიან სესხს 4,000,000$ აშშ დოლარის ოდენობით და შპს „ელბიტ საიკლონისთვის“ გადასახელ თანხას როლის გადავადებაც ასევე მოხდა მხარეთა შეთანხმებით.

15. მოკლევადიანი კრედიტი

მოიცავს სს „ბაზის ბანკის“ მიერ გაცემულ მოკლევადიან სესხს (Bridge Loan) 3,700,000 აშშ დოლარს.

16. ფული და ფულის ექვივალენტები

მოიცავს 2018 და 2019 წლის 31 დეკმებრისთვის სს „საქართველოს ბანკის“ და სს „ბაზის ბანკის“ ანგარიშებზე არსებულ ულად ნაშთებს.

17. საგადასახადო აქტივი

მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივს, რომელიც აკუმულირდა ქარხნის სამშენებლო სამუშაოების დაფინანსების შედეგად.